ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება 4-23

29 დეკემბერი 2006 წელი
ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 475-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

განისაზღვროს ქ.თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები 713,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

I საგადასახადო შემოსავლები	399,000.0 ათასი ლარი
II არასაგადასახადო შემოსავლები	54,840.0 ათასი ლარი
III შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	251,600.0 ათასი ლარი
IV საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	270.0 ათასი ლარი
V სესხის აღება (დაფინანსება)	7,290.0 ათასი ლარი
მ.შ შემოსავალი ხარჯების დასაფარავად მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან	6,891.2 ათასი ლარი
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	398.8 ათასი ლარი

ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები წარმოდგენილია დანართი 1-ით.

მუხლი 2.

განისაზღვროს ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 713,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად, წარმოდგენილია დანართი 2 და 3-ით.

მუხლი 3.

მიღებულ იქნეს ქ. თბილისის 2007 წლის საქალაქო ბიუჯეტის გადასახდელები 612,065.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტის გადასახდელები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად, წარმოდგენილია დანართი 4 და 5-ით.

მუხლი 4.

მიღებულ იქნეს ქ. თბილისის 2007 წლის რაიონული ბიუჯეტების ხარჯები 100,935.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის რაიონული ბიუჯეტების ხარჯები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად, წარმოდგენილია დანართი 6 და 7-ით.

მუხლი 5.

მიღებულ იქნეს ქ. თბილისის ცალკეული რაიონების 2007 წლის ბიუჯეტების ხარჯები:

ა) გლდანი-ნაძალადევის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 13,666.9 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 8 და დანართი 9);

ბ) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 6,549.5 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 10 და დანართი 11);

გ) ვაკე – საბურთალოს რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 11,176.5 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 12 და დანართი 13);

ე) ისანი – სამგორის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 15,919.8 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 14 და დანართი 15);

ვ) ძველი თბილისის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 51,241.2 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 16 და დანართი 17);

ზ) დიდგორის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 2,381.1 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 18 და დანართი 19);

ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტის გადასახდელების და რაიონული ბიუჯეტების ხარჯების გაწევა განხორციელდეს ქ. თბილისის ბიუჯეტის ერთიანი ანგარიშიდან ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ.

მუხლი 6.

განისაზღვროს ქ. თბილისის ბიუჯეტის საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთის მოცულობა 2008 წლის 1 იანვრისათვის 900.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 7.

ქ. თბილისის მთავრობამ 2007 წლის 1 თებერვლიდან სკოლამდელი აღზრდის, საგანმანათლებლო, სახელოვნებო და სპორტული დაწესებულებების დაფინანსება განახორციელოს ამ სფეროებში მიმდინარე რეფორმების კვალობაზე.

მუხლი 7^1.

ქ. თბილისის მთავრობამ:

ა) ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტზე გადასაცემი ტრანსფერი (კოდი 22 00) 107,000.0 ათასი ლარი გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

ბ) საპატრულო პოლიციისათვის (კოდი 21 00) გათვალისწინებული 1,000.0 ათასი ლარი გადარიცხოს საპატრულო პოლიციის ანგარიშზე.

მუხლი 8.

საქალაქო სამსახურებსა და მერიის ადმინისტრაციას უფლება მიეცეთ 2007 წლის 1 იანვრიდან, აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით აიყვანონ მათი საშტატო რიცხოვნობით გათვალისწინებული მომუშავეთა არაუმეტეს 5 პროცენტისა (გარდა ტექნიკური და სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დაქირავებული მომსახურე პერსონალისა).

მუხლი 9.

მერიის სისტემის, რაიონული გამგეობებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში მათდამი დაქვემდებარებულ საბიუჯეტო დაწესებულებებს,

ცალკეულ პროგრამებსა და ღონისძიებებს შორის ასიგნებების გადანაწილება განხორციელდეს “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე და 38-ე მუხლების, „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 473-ე მუხლის, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის №981 ბრძანებით და „ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მერის 2006 წლის 7 აგვისტოს №41 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მუხლი 10.

დადგინდეს, რომ წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2007 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრები, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული ამ მუხლების მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რაზედაც პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის საბიუჯეტო დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

მუხლი 11.

ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტით საქალაქო სამსახურების პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის, ასევე მერიის სისტემის სხვა ხარჯებში გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვა განხორციელდეს ქ. თბილისის მერის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 12.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრირებული 70000-ზე დაბალი ქულის მქონე ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე 2007 წლის განმავლობაში გავრცელდეს შემდეგი შეღავათები:

1. 50%-იანი ფასდაკლება მეტროთი მგზავრობისას;
2. 50%-იანი ფასდაკლება მუნიციპალური ავტობუსით მგზავრობისას;
3. 50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;

4. 50%-იანი შეღავათი დასუფთავების მოსაკრებელზე;

5. სასწრაფო სამედიცინო ცენტრის 03-ის უფასო გამოძახება;

6. უფასო აღზრდა-განათლება ქ. თბილისის საბავშო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში;

7. უფასო სწავლება ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში;

8. უფასო სწავლება ქ. თბილისის სამუსიკო სკოლებში;

9. უფასო სწავლება ქ. თბილისის სპორტულ სკოლებში;

10. უფასო შესვლა ზოოლოგიურ პარკში;

11. უფასო შესვლა მუნიციპალურ მუზეუმებში;

12. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უმაღლეს სასწავლებელში ფასიან სექტორზე ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის 50%-იანი თანადაფინანსება;

13. ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაფინანსდეს:

ა) დახმარება კომუნალურ გადასახადებზე თითოეულ ოჯახზე წელიწადში 60 ლარის ოდენობით;

ბ) დახმარება ყოველ ახალშობილზე 200 ლარის ოდენობით;

გ) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის ბავშვზე ფულადი დახმარება, ყოველთვიურად თვითოეულ ბავშვზე 10 ლარის ოდენობით;

დ) 50%-იანი ფასდაკლება ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე;

ე) ერთჯერადი ფულადი დახმარება მე-4 ბავშვის დაბადებისათვის 800 ლარის ოდენობით, მე-5 ბავშვის დაბადებისათვის 1000 ლარის ოდენობით და შესაბამისად, ყოველი შემდგომი ბავშვის დაბადებისათვის დამატებით 200 ლარი ოდენობით;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საქართველოს კურორტებზე დასვენება-რეაბილიტაცია;

ზ) 100 წლიანი ხანდაზმულთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით.“

მუხლი 13.

2007 წლის 1 სექტემბრამდე გაგრძელდეს ქ. თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიის დანამატის გაცემა:

0-5 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებზე - 2 ლარი;

5–15 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებზე - 4 ლარი;

15-25 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებზე - 7 ლარი;

25-ზე მეტი ან ტოლი სტაჟის მქონე პენსიონერებზე - 10 ლარი.

მუხლი 14.

2007 წელს რაიონული ბიუჯეტებიდან გაგრძელდეს:

ა) სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის ოჯახზე გასაცემი დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება 350 ლარის ოდენობით;

ბ) უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურება.

მუხლი 15.

2007 წლის 1 იანვრიდან:

ა) ქ. თბილისის ბიუჯეტზე მყოფ ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაწესდეს ბავშვთა კვების დღიური ნორმა საბავშვო ბაღებსა და ბაგა–ბაღებში 1 ლარი და 60 თეთრი და სპეციალიზებულ საბავშვო ბაღებსა და ბაგა–ბაღებში (მათ შორის სადღეღამისო) – 2 ლარი და 50 თეთრი;

ბ) პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიზარდოს 100 პროცენტით;

გ) გაუქმდეს ბავშვთა შენახვისათვის დაწესებული მშობელთა გადასახდელი (5 ლარი და 40 თეთრი).

მუხლი 16.

2007 წლის 1 იანვრიდან ქ.თბილისის ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების დაფინანსება გაგრძელდეს „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 აგვისტოს №820 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

მუხლი 17.

დადგინდეს, რომ მუნიციპალური თეატრების ხელშეწყობის პროგრამით გამოყოფილი 1,200.0 ათასი ლარის ხარჯვა განხორციელდეს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

მუხლი 18.

დადგინდეს, რომ რაიონულმა გამგეობებმა რაიონული ბიუჯეტებით გათვალისწინებული ავარიული შენობების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა განახორციელონ ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 19.

2007 წლის 1 იანვრიდა ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 2 დეკემბრის 23-2 გადაწყვეტილება.

ბ) „ქ. თბილისის ბუნებრივი აირის სარეალიზაციო ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 1999 წლის 16 აპრილის №12-3 გადაწყვეტილება;

გ) „ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე კომუნალური მომსახურების (წყალი, ბუნებრივი აირი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა) შეღავათებით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორიების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 30 ივლისის №8-8 გადაწყვეტილება;

დ) „ქ. თბილისის საპატიო მოქალაქეებისათვის კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების დაწესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 28 ივლისის №11-6 გადაწყვეტილება;

ე) „ქ. თბილისში წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გაწმენდა, გატარების დიფერენცირებული გადასახადისა და სოციალურად დაუცველი ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობისათვის შეღავათების შემოღების, ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 9 სექტემბრის 12-1 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 10 აგვისტოს №14-1 გადაწყვეტილება.

ვ) „უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 11 მარტის №5-1 გადაწყვეტილება;

ზ) „ქ. თბილისში მცხოვრები ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახებისათვის

მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 31 ოქტომბრის №9-4 გადაწყვეტილება;

თ) „ქ. თბილისში მცხოვრები 3, 4, 5, 6-შვილიანი ოჯახების და მარტოხელა დედების შვილების (18 წლამდე) მუნიციპალური დახმარების პროგრამის და ამ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალური დახმარების დანიშვნა-გაცემის წესის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 18 აპრილის №9-46 გადაწყვეტილება.

მუხლი 20.

შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) „ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს 1999 წლის 21 დეკემბრის №24-1 გადაწყვეტილებაში და ამოღებული იქნეს დებულების მე-5-ე, მე-6-ე და მე-7-ე პუნქტები;

ბ) „ქ. თბილისში დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-21 გადაწყვეტილებაში და ამოღებულ იქნეს მე-4 პუნქტი.

მუხლი 21.

გადაწყვეტილება ძალაში შედის 2007 წლის 1 იანვრიდან.

ქ. თბილისის საკრებულოს

თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი